საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 299 1918 წ. სამშაბათი. 6 აგვისტოს № 299

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

საკავკასიო კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ოსმალ-ადერბეიჯანელებმა ბაქო აიღეს: დაჭრილ-დახოცილია ბაქოელების მხრით 7 ათასი, ტყვედ ჩაიგდეს 5 ათასი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მინადორა ხუთუს ასული შვილები ალექსანდრე და ივლიანა შოგირაძე სიძე შოგირაძე და რძალი სავა აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს რომ ყაჩაღების მიერ ტრაგიკულად მოკლულ

გიორგი (გოგი) ლევინჯავას

დასაფლავება მოხდა კვირას აგვისტოს 4-ს ზუგდიდის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.
1268

მეორე ქართული კლუბი
„ახალი საკრებულო“ მიხეილის პროსპექტი № 129.
სამშაბათს აგვისტოს 6.
სინემატოგრაფი
1289

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.
1918 წ. **დღეს**, აგვისტოს 6-ს გაიმართება
დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა
გასტროლები ახალი არტისტებისა, ცნობილ ეგვიპტელის **ალისა**, (ადამიანი აკვარიუმი). გასტროლი მალოროსთა ხოროსი. ანდრენკოს და იზვეკოვის მეთაურობით. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 საათზე.
ანონსი; ოთხშაბათს, აგვისტოს 7 ბენეფისი ეგვიპტელ ალისა. 833
მთავარი ადმინისტრატორი პ. **ელიზაროვი**.

ფრანგულ ენის მასწავლებელი ქალი, ჩამოსული, იძლევა პრაქტიკულ და თეორიულ გაკვეთილებს, თანახმაი იყოს dame de compagnie რამდენიმე საათით. ნახვა შეიძლება 10 11½ საათამდე და საღამოთი 7—9 საათამდე. გუნიბის ქ., 43, ბინა 5. 120

საჭიროა ქართველთა 1 ცხენოსნის ერთეულისათვის (პოლკისათვის) თივა, ბზე და შვრია—მოიჯარადრებს შეუძლიანთ გამოცხადნენ—ნავთლუღში, პოლკის შტაბში. 832

ტფილისი, აგვისტოს 6.

კადეტების გაზეთის პარალელები.

კადეტების გაზეთი დიდის სიამოვნებითა და აღფრთოვანებით შეხვდა სომხეთის რესპუბლიკის აღდგენას. ჩვენც ჩვენის მხრით არ შეგვიძლიან გულ-წრფელი სალამით არ შევხვდეთ ამ ფაქტს და არ ვუსურვოთ მეზობელ რესპუბლიკას დღეგრძელობა და განვითარება. სომხეთის რესპუბლიკა ჩვენი მეზობელი რესპუბლიკაა. რამდენადაც უკეთესად მოაწყობს იგი თავის საქმეებს, რამდენადაც მეტად განამტკიცებს თავის დამოუკიდებლობას, იმდენად უკეთესი იქნება ჩვენთვის, ქართველებისთვის. მაგრამ არ შეგვიძლიან მაინც უყურადღებოდ დავსტოვოთ კადეტების ორგანოს უცნაური პარალელები, რომლებიც მას გაჰყავს საქართველოსა და სომხეთს შორის. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კადეტების გაზეთი მხოლოდ ბოროტების გესლს ანთხევს საქართველოზე მაშინ, როდესაც სომხეთის სასარგებლოდ მას საკმაოდ მოუძებნია თბილი სიტყვები. ასეთი დამოკიდებულება საქართველოსა და სომხეთს შორის შემთხვევითი არ არის. იგი იმ უბრალო გარემოებით აიხსნება, რომ, რაც უნდა უცნაურად გვეჩვენოს ეს შეხედულება, თვით სომხეთის დამოუკიდებლობაც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს დამოუკიდებლობასთან. პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა საქართველოსი ისეთია, რომ თუ იგი დამოუკიდებელი დარჩა, სომხეთსაც შერჩება დამოუკიდებლობა. მაგრამ თუ საქართველოს დამოუკიდებლობა დაინგრა, მის ნანგრევებში აუცილებლად სომხეთის დამოუკიდებლობაც დაიმარხება. ეს ძალიან კარგად იციან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მტრებმა და სწორედ ამიტომაც უმთავრესი და პირველი იერიში სწორედ საქართველოზე მიაქვთ.

მაგრამ საბუთები ამ იერიშებისთვის ისეთი ცოტა აქვთ, რომ მათს ბრძოლას უკბილო ბებერის ბუზღუნის ხასიათი ეძლევა. ასე დაემართა კადეტების ორგანოსაც. იგი, მაგალითად, სომხეთის რესპუბლიკას დიდს პლიუსად უთვლის იმას, რომ თავის თავს **სომხეთის** რესპუბლიკას უწოდებს მაშინ, როდესაც ქართველები თავიანთ რესპუბლიკას უწოდებენ **ქართულს** და არა საქართველოს რესპუბლიკას. ჩვენ ეს საბუთი ძალიან დაწვრილმანებულსა და დახურდავებულ საბუთად მიგვაჩნია, მაგრამ აქაც კი კადეტების ორგანო არსებითად მართალი არ არის, ქართველები თავის სახელმწიფოს უწოდებენ სწორედ **საქართველოს** დემოკრატიულ რესპუბლიკას. ასე იწერება ყველა ოფიციალურ ქაღალდსა და აქტში. მაგრამ საქართველოს მტრები თითონ ამახინჯებენ გაზეთებში ამ სახელწოდებას და განზრახ, სწორედ მტრული გრძნობის კარნახით, საქართველოს ნაცვლად ყველგან ქართულს ხმარობენ. თვით ეროვნულ საბჭოსაც ჰქვიან **საქართველოს** ეროვნული საბჭო, მაგრამ რუსული გაზეთები იმავე მტრული გრძნობით, უწოდებენ **ქართულ** ეროვნულ საბჭოს. ამით მათ ჰსურთ თითქოს ღირსება დაუკარგონ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს და იგი ისეთსავე ორგანოდ დასახონ, რანაირიც სხვა ეროვნებათა ეროვნული საბჭოები.

მართალია ერთგვარი გაუგებრობა აქ არსებობს, მაგრამ გაუგებრობა გამოწვეულია არა ქართველების არამედ საქართველოს მტრების მიერ, რომელთაც, დღიდან საქართველოს განთავისუფლებისა პოლიტიკური მონობისაგან, ერთი თბილი სიტყვაც კი ვერ გაიმეტეს ქართველი ხალხისთვის,—იმდენად ძლიერი იყო და არის მათში სიძულვილი ქართველი ხალხისადმი.

მეორე პარალელი, რომელიც კადეტების ორგანოს გაჰყავს, უმცირესობათა უფლებას შეეხება. აქაც გასაგონელად ისე სჩანს, თითქოს სომხეთმა გაუსწრო საქართველოს. მაგრამ არსებითად ეს ასე არ არის. საქართველოს პარლამენტს უკვე შემუშავებული აქვს დებულება უმცირესობათა წარმომადგენლების შეყვანის შესახებ და ეს დებულება დღეს არა ხვალ აუცილებლად განხორციელდება. მაგრამ ჩვენ გვინდა შევეკითხოთ კადეტების ორგანოს, ნუ თუ იგი ვერა ჰხედავს, რომ სულ სხვა და სხვანაირ პირობებში იმყოფება სომხეთი და საქართველო. ისტორიული ჩარხის ტრიალის გამო მთელი სიმძიმე ხულიგანური რუსეთის ლიკვიდაციისა საქართველოს დააწვა კისრად. შეუძლიან თუ არა საქართველოს თავის პარლამენტში შეიყვანოს წარმომადგენლები ისეთი ჯგუფებისა, რომელნიც **პრინციპიალურად** საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არიან? პოლიტიკური დონკიხოტობა თუ დემოკრატიზმია. მაშინ ასეთი დემოკრატიზმი კადეტებისთვის დაგვილოცნია. ჩვენ კი პოლიტიკურ დონკიხოტობად მიგვაჩნია ასეთი ნაბიჯის გადადგმა და საქართველოს მტრებს, საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპიალურ მტრებს საქართველოს პარლამენტში არ შეუშვებთ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქართველოს სომხებში ამ მხრით სალი პოლიტიკური აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს. დადგება დრო, როდესაც სომხები ამ პოლიტიკურ საკითხს ასე თუ ისე გადასწყვეტავენ. როდესაც გამოირკვევა, რომ საქართველოში რჩებიან საქართველოს ქვეშევრდომი სომხები.—და ამის გამორკვევა კი უპირველესად ყოვლისა თვით სომხების საქმეა,—მაშინ ისინი აუცილებლად მოწვეულნი იქნებიან ეროვნულ საბჭოში.

მაგრამ როგორ უნდა მოვიწვიოთ წარმომადგენლები, ვსთქვათ, „ტრუდ. ზნამია“-სი, რომელიც ყოველ დღე მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სწერს?

მესამე პარალელი კადეტების ორგანოსი შეეხება რუსულ ენას, მას დიდს დემოკრატობად მიაჩია ის, რომ სომხებმა სახელმწიფო ენად რუსული ენა დასტოვეს დროებით ჩვენ კი გვგონია, რომ არაფერი დემოკრატიული აქ არ არის. თუ სომხებმა **დროებით** სახელმწიფო ენად რუსული ენა დასტოვეს, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ სომხეთა შორის მათ ჯერ ჯერობით არ მოძებნებათ საკმაო კონტიგენტი სახელმწიფო მომუშავეებისა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ **დროებითი** ხასიათი ამ ზომას არ ექნებოდა. რა წამს სომხეთს შეძლება მიეცემა, იგი იმავე ნაციონალიზაციის გზით წავა, როგორც საქართველო. და ეს ნამდვილი დემოკრატიზმი იქნება.

ჩვენ არ ვიცით, როდის გაჰხდა დემოკრატიზმი რუსული ენის გამეფება სახელმწიფო დაწესებულებებში? პირიქით, რუსეთის ლიბერალური მოთხოვნილებაც კი იმაში გამოიხატებოდა, რომ სკოლასა, ადმინისტრაციასა და სასამართლოში სამშობლო ენა გამეფებულიყო. მით უფრო ეს უნდა მოჰხდეს ეხლა, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. და თუ გაქართულება ჩვენი ცხოვრებისა, გაქართულება სახელმწიფოებრივი მექანიზმისა კადეტებს ანტიდემოკრატიულ მოვლენად მიაჩნია, მას ვერავითარი წარმოდგენა ჰქონია დემოკრატიზმზე ვინც დღევანდელ პირობებში კი არა, საზოგადოდაც კი ამნაირი გაქართულების წინააღმდეგია, ის ჰღალატობს დემოკრატიულ იდეალების ელემენტარულ მოთხოვნილებებს და ჰღალატობს იმიტომ, რომ იგი უფრო მეტად ზეკამისტია, ვიდრე დემოკრატი.

საზედისწერო სასწორი

საერთაშორისო ომის ისტორია მეხუთე წლის ფურცლებს შლის და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მხარე არ მოტეხილა იმდენად, რომ ამ საშინელ, სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლას წერტილი დაუსვას, თავისი უძლურება აღიაროს და ქედი მოიხაროს მტრის წინაშე. ორი უდიდესი კოალიცია სისხლისაგან იცლება, სასიკვდილოდ დაჭრილ ლომივით ღმუის, მაგრამ აზრადაც არ მოსდის ხმალი ქარქაშში ჩააგოს.

თანდათან უფრო რთულდება მდგომარეობა და ის, რაც ბურუსში იყო გახვეული თავიდან, ზევით ტივტივდება: აშკარაა, დღეს ომი არავის მიაჩნია მცირედ, დამონებულ სახელმწიფო და ერების გამოქომაგებად, ან მარტო ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობათა დაჯახებად, ახალი კოლონიების დასაპყრობად... უკვე, ყველა ამასთან, საკმაოდ გამოსჭვივის ერის ფიზიკურ არსებობის გადარჩენის, სახელმწიფოს ინტერესების და მისი სახელის ხსნის, ერის ტრადიციების და პრესტიჟის განმტკიცების, ისი, თუ გნებავთ, თავმოყვარეობის და სუვერენიტეტის დაცვის საკითხები..

ყველა ეს ერთმანეთში შეუმჩნევლად გადახლართულია ამ ნაკვთთა ნაწნავში, ამ დიდ არტერიაში გადის ის სისხლი, რომელიც მეხუთე წელიწადია იღვრება მარსის სამსხვერპლოს წინაშე. აღარ არის ის სიმარტივე, რომელიც პირველად ესახებოდა ამ ომის ისტორიკოსს და და რომელსაც უფრო ადვილად ითვისებდა ხალხი.

ვის შეუძლიან სთქვას—რამდენად გამწვავდება კიდევ მდგომარეობა და რამდენ ახალ მომენტს ამოაცურებს ზევით ომის ტალღათა ცემა. მთელი კულტურული კაცობრიობა, დიდი ტრადიციების მქონე სახელმწიფონი შესცდნენ ომის ანგარიშებში, საუკეთესო ეკონომისტების მეცნიერული მოსაზრებანი გაანიავა ომის ფორტუნამ და კურიოზები რეალობად, ისტორიულ ფაქტად აქცია. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია მისი საერთაშორისო მასშტაბითაც მოუმზადებელი შეხვდა ამ დიდ ეპოქას. ომმა დაარღვია მეორე ინტერნაციონალი და მის წრეებში დიდი გაუგებრობა და არევ-დარევა წარმოშვა სრულებით დაქუცმაცდა ეს ფრონტი და იგი აუარებელ ჯგუფებად დაიყო რომელნიც ბარბაროსები შეიქმნენ ურთიერთისათვის. ორ უკიდურეს ფრთათა შორის მრავალი, სრულიად ავტონომიური მიმდინარეობანი წარმოდინდა და სოციალისტ-იმპერიალისტებიდან, სოციალისტ-მაქსიმალისტებამდე მრავალი დამოუკიდებელი აზროვნება დღეს დემოკრატიაში. არ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა—რომელ ფრთას გაუღიმებს ბოლოს ბედი, ვინ აულო სწორედ ალღო ომის მსვლელობის ისტორიას, მაგრამ მაქსიმალისტების ზოგი ილიუზია დღეს უკვე ლიკვიდაციის ფაზაშია და ზედმეტი ჯიუტობა ამ სახის ინტერნაციონალს თიხის ფეხებს ვერ გამოუცვლის. იმედი, რომ საერთაშორისო დემოკრატია ამ ომში უკანასკნელ სიტყვას თვითონ იტყვის, თვითონ იქმნება ნეტარ ზავის მომტანი და ამ ზავში არ იქმნება გამარჯვებული—მოკარნახე პირობებისა და დამარცხებული მიმღები ყველა სიმძიმისა, დღეს შეგვიძლია უსაფუძვლოდ ჩავთვალოთ.

ასეთ ინტერნაციონალს პირი არ უჩანს და ჩვენ არ შეგვიძლია ოცნების გზას გავყვეთ. აშკარაა, ომის მსვლელობა იმდენად გამწვავდა, რომ იგი ივლის რეალურ გამარჯვებამდე და ორ კოალიციათა შორის პროლეტარიატი ჰარმონიას ვერ განამტკიცებს. „ომი ბოლომდის, გამარჯვებამდის“! აი, ის ლოზუნგი, რომლითაც გადავიდა ომის ისტორია მეხუთე წელში. ამ ომიდან ერთი მხარე უეჭველად გამარჯვებული და მეორე დამარცხებული უნდა გამოვიდნენ; შუა გზა, სამწუხაროდ ილიუზიად იქცა და ამ მოვლენას განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოეპყრან ის მცირედი ერები, რომელნიც საკუთარ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დადგნენ თვით ომის პროცესში. რა თქმა უნდა ჩვენ ამ ხანად საკუთარ სახელმწიფოს ბედი გვაინტერესებს.

მართალია ჩვენი მოკავშირე დღეს ის დიდი იმპერიაა, რომელმაც სახელოვნად აწარმოვა ეს უმაგალითო ომი ოთხი წლის განმავლობაში, მართალია, რომ გერმანიის გამარჯვების შანსები დიდია ეხლა, როცა მან გაარღვია შემოსალტული წრე, ფართოდ გაშალა თავისი გავლენის სფერო და ინგლისის ბლოკადას ინტენსიობა და ძალა გამოაცალა, მართალია—ის ეროვნულ სახელმწიფოებრიობა თავგანწირვა და მთლიანობა, რომელმაც მთელი გერმანია ერთ ორგანიზმად აქცია, ერთ არსად შეასხეულა, ოდნავადაც არ მიმქრალა, მაგრამ ქართველი ერისათვის და საქართველოს სახელმწიფოსათვის, მის საბოლოო უზრუნველყოფისათვის ეს კიდევ არ არის უკანასკნელი სიტყვა. ჩვენისთანა პატარა ერს არ შეუძლიან მცირედი იჭვების შანსების დატოვებაც, ახლად ფეხ-ადგმულ განთავისუფლებულ სახელმწიფოს მომავლის პერსპექტივებში საეჭვო ოაზისსაც კი ვერ დავტოვებთ. ამას გვიკარნახებს ჩვენი ვალი ერისა და სახელმწიფოს მომავლის წინაშე. რა თქმა უნდა, ქართველმა ერმა თავისი ბედი დაუკავშირა გერმანიას, რომელმაც იკისრა მისი მფარველობა და დამოუკიდებლობის დაცვა; ყველა ამის გამო ჩვენ შორის კეთილი განწყობილება და ერთგულება უნდა განმტკიცდეს და ჩვენი ერი, გვგონია, ერთგულებაში საკმაოდ ნაცადია, მისი პატარა ორგანიზმი დიდ ბუნებოვან რაინდობას იტევდა მუდამ და მეგობრის გულზე ხელის კვრა, ან მისი საფრთხის დროს გაცლა ჩვენ არ გვჩვევია. ამის შესახებ ლაპარაკი მეტია და არც მოგვსვლია ვისმეს აზრად. ჩვენ ღალატსა და მუხანათობას ჩვეული არა ვართ...

მაგრამ ჩვენ ამ ხანად სხვა მხარე გვაინტერესებს: აქვს თუ არა საქართველოს უფლება—მთელი იმედი საკუთარის არსებობისა დაამყაროს რომელისამე კოალიციის სრულ გამარჯვებაზე.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ იმ სახით, როგორადაც დემოკრატიზმის უკიდურესმა მიმდინარეობამ გადაჭრა ეს საკითხი: არც გამარჯვებული, არც დამარცხებული, ფანტასტიური ზავი, დღეს შეუძლებელი გახდა საერთოდ, და რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც. მაშასადამე ომი უფრო გამწვავდება, უმაღლეს წერტილამდე მიაღწევს და ერთი მხარე სასტიკად დამარცხებული გამოვა.

არც ჩვენ და არც სხვა ვისმეს არ შეუძლია გადაჭრით სთქვას, რომელი იქნება ეს მხარე და მაშასადამე არც პატარა საქართველოს შეუძლია გულ-ხელ დაკრეფილი იჯდეს და ელოდოს ამ დროს.

არც ერთი გამოსავალი ამ ომიდან არ უნდა იყოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ჩვენის რესპუბლიკისათვის. რაც უნდა უცნაური იყოს ომის დასასრული და რაგვარადაც არ უნდა შეხედოს მის არსებობას საბოლოოდ გამარჯვებულმა კოალიციამ (სულ ერთია, რომელიც იქნება იგი ამ შემთხვევაში) საქართველოს სახელმწიფოს, მისი სუვერენობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვა—განმტკიცების საქმე საეჭვო არ უნდა დარჩეს.

ორიენტაციებით საბოლოოდ საკითხები ვერ გადაწყდება, ბოლოს მთელი სიმძიმე ამ საკითხისა გადიჭრება იმის მიხედვით—ჰპოვა თუ არა ერმა საკუთარი სასიცოცხლო ძალები, ჩამოასხა და ამჟღავნა მან საკუთარი ეროვნული ენერგია თუ ვერა? შექმნა მან თუ არა მტკიცე ნება და უაღრესი პატრიოტიზმი, რომელიც საფუძველია პატარა ერის სახელმწიფოდ ქცევისა? ფაქტი, ისტორიული რეალობაა მისი სუვერენიტეტი, თუ ისეთი წარმავალი პროცესი, რომელსაც არსებობა მხოლოდ შემთხვევათა განსაკუთრებულ კომბინაციის დროს შეუძლია. არის თუ არა ეს სუვერენობა ხალხის ჭეშმარიტება, რომლისთვისაც იგი ყოველ შემთხვევაში თავს გასწირავს? მოახდინა მან თუ არა რეალიზაცია იმ ავანსებისა, რომელიც თავიდანვე გასცა... ბოლოს და ბოლოს ეს არის საკითხი ჩვენის სახელმწიფოებრივ განმტკიცებისა საშინაო ძალების ამოკრეფით. და ყველაფერი დამოკიდებულია საერთაშორისო საბოლოო საზავო კონფერენციიდან, რომლის წინაშე საქართველო უნდა წარსდგეს სათანადო გამოცდის შემდგომ. ჩვენ ეხლა ვიცდებით და ყოველი ჩვენი ნაბიჯი მთელის სიმძიმით ეცემა იმ სასწორზე, რომელსაც აშკარად ვხილავთ ომის დამთავრებისას და რომლის მიხედვით გამოტანილი იქნება განაჩენი ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის შესახებ. თუ ჩვენ შევსძელით და ეს კონფერენცია და კერძოდ ზეიმის ტახტზე მსხდომი კოალიცია (ვიმეორებ—რომელიც უნდა იყოს იგი) მომხდარ ფაქტის წინაშე დავაყენეთ, რეალური ძალა წინ გარდავუშალეთ, ჩვენი მომავალი უზრუნველ-ყოფილია.

აი, ამ გამოცდის საბედისწერო ხანაში ცხოვრობს დღეს ქართველი ერი..

დახვჯნა?...

არა მგონია ძნელი იყოს მისი გამოტანა:

მთელი ეროვნული ენერგიის ინტენსიური ამოძრავება, ძალთა სრული კონცენტრაცია, სახელმწიფოსათვის უაღრესი თავგანწირვა, პატრიოტიზმის გაღვივება ხალხში, სუვერენობის დაფასება და მთელის არსებით განგრძნობა, მთავრობის პრესტიჟის განმტკიცება და რეალურ ძალის შექმნა ჯარის სახით. ეს იქნება ის ფაქტორი, რომლის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს გამარჯვებულმაც და რომლის წინააღმდეგ გალაშქრება არც ისე ადვილი გახდება მისთვის.

საკუთარ ფეხზე დადგომა მტკიცედ, ურყევლად და მთელი აპარატის ამუშავება დღესვე. სამწუხაროდ, არ შეგვიძლია დამშვიდებულნი ვიყვნეთ ამ მხრით. მართალია მთავრობაში და მმართველ წრეებში აქედან მრავალი გათვალისწინებულია, მაგრამ ქართველ ერს ვერ შეუგნია სათანადოდ თავისი მდგომარეობა. იგი განსაკუთრებულ პასიობას იჩენს ჯერ-ჯერობით და ორგანიულად ვერ განიცდის სახელმწიფოს შენების საქმეს. მას ქვა არ მოაქვს ამ დიად ტაძრისათვის. იგი ორ ბანაკად დაყოფილა: ერთი ნაწილი პროვოკაციის ბრმა იარაღად ქცეულა და ებრძვის ჩვენს სუვერენობას, საკუთარ თავისუფლებას. ხოლო მეორე ნაწილს გადაჭარბებული იმედი აქვს გარკვეულ ორიენტაციისა და ოცნების ბურანში ჩაფლულა. მეტად ნელა შენდება ჩვენი სახელმწიფო და გამალებით სწარმოებს საერთაშორისო ომი, ახლოვდება მისი კატასტროფა, უკვე მოაქვთ ის სასწორი, რომელიც აჩვენებს ჩვენს ძალას და ჩვენი გამოცდის რეზულტატს მთელ მსოფლიოს.

და მე ვშიშობ, ვაი თუ ჩვენის სახელმწიფოებრიობისაკენ ვერ გადაიხაროს იგი და საქართველოს ისევ ბორკილები დაედოს...

ჩქარა, ჩქარა თქვენი ქვა ამ სასწორის საწადელ მხარეს.

აკაკი პაპავა.

მთავრობაში

სასურსათო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მინისტრს დაავალოს საბოლოოდ მოელაპარაკოს ადერბეიჯანის მთავრობას შაქრის პურში გაცვლის შესახებ. დადგენილ იქმნას რა და რა რაიონებში იყიდიან პურს.

რკინის გზის მთავარ კომიტეტს ნება დართეს შეიძინოს პური სხვა და სხვა საქონლის გაცვლით.

აფხაზეთის მინისტრის განკარგულებაში გადაიდო 10 ათასი მანეთი.

მთავრობამ მიიღო ერ. საბჭოს სამანდატო კომისიის კანონ-პროექტი საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის შესახებ.

მინისტრების და მათი ამხანაგების ჯამაგირებისთვის გადაიდო მთელი წლისათვის 207 ათასი მანეთი.

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ დ. თოფურიძის მაგიერად, რომელმაც უარი განაცხადა, დაინიშნა კ. გვარჯალაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

რუსთა ეროვნული საბჭოს შუამდგომლობა რუს ლტოლვილების დახმარების შესახებ არ იქმნა შეწყნარებული.

სახელმწიფო თეატრს მიეცა 8 ათასი მანეთი ცეცხლის დამქრობ რაზმის და მცველების დასაქირავებლად.

ფინანსთა მინისტრი შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს, რომ გაუგებრობის და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყველა თხოვნა, რაც ფულის მიღებას შეეხება, განსაკუთრებულის ყურადღებით იქნას განხილული და მხოლოდ ისეთები დააკმაყოფილონ, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელი და სასწრაფოა. საჭიროა აგრეთვე საბუთების შემოწმება, რათა ისეთმა პირება არ მიიღონ ფული, რომელთაც მიღებული აქვთ, ან ისეთ დაწესებულებებს არ მიეცეთ, რომელთა ლიკვიდაცია მოხდა.

უკანასკნელი ცნობები

სომხეთი.

ერევნიდან მიღებულ ცნობებით, აგვისტოს 2 იქ გახსნილა სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტი. დასწრებია გერმანელ-ავსტრიის მისსის წარმომადგენელი ფინკელშტეინი. მოისმინეს და დაადასტურეს მთავრობის დეკლარაცია.

დუშეთისაკენ.

დუშეთიდან მიღებულ ცნობებით ის 900 ფუთი შაქარი რომელიც კავკავში გაიგზავნა ამას წინად სიმინდში გასაცვლელად და რომელიც მეამბოხეებმა ცილკანთან დაიტაცეს—უკვე დაიბრუნა მთავრობამ მოქცეულის კოოპერატივიდან, სადაც შეუნახავთ ხსენებული შაქარი დაკლებულ შაქრის ფასსაც მთავრობა აინაზღაურებს ბაზრის ფასების მიხედვით.

ეროვნული საბჭო

აგვისტოს ორის სხდომა.

(დასასრული)

გ. ვეშაპიძე (ნაც. დემ.) ბ-ნი მინისტრი დარწმუნებულია, რომ ყოველი ფრაქცია და პარტია სდგას სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და ალბად ამის მიხედვით იძლევა მთავრობა პასუხს. ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ სოციალისტური მთავრობა ამ ნიადაგზე სდგას.

შეკითხვის პასუხი დაგვიანდა. საბჭომ განმარტა, რომ ეს არის ვალდებულება საბჭოსი და არა მთავრობისა. მაგრამ მე ამ სამი დღის განმავლობაში, როცა საბჭომ გადასდო პასუხის მოსმენა ჩემი შეკითხვის გამო, ერთი საყურადღებო ცნობა მივიღე, წავიკითხე ქუთათური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ იქ დაბეჭდილია შეკითხვა ქუთაისის საგუბერნიო კომისრისა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი: ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვის გამო რა და რა მასალები გჭირდებათ და რა ხასიათისაა შეკითხვაო.

შეკითხვა იყო ოსთა აჯანყების შესახებ და არა საჩხერის ამბების გამო, როგორც ამას დაჟინებით იმეორებს და ყველგან სწერს სეკრეტარიატი.

გუბერნიის კომისარს; რა მიუღია მინისტრისგან მშრალი და მოკლე აღნუსხვა ჩვენი შეკითხვისა, დაუვალებია მაზრის კომისარის—აფაქიძისათვის საჭირო ცნობების შეკრება; მაგრამ მათი პასუხიც სწორედ ოფიციალური და ლოიალური პასუხია; მიუხედავად ამისა კომისარი ძალიან დახელოვნებული ყოფილა კანცელიარულ საქმის წარმოებაში, მშვენივრად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხანდახან ერთს სიტყვასაც კი და მინისტრს ასე მოახსენებს ჩხიკვიშვილი (საგუბერნიო კომისარი): ოსებს აჯანყების პირველ ხანებში თითქმის არც მიუღიათ მონაწილეობაო. ხოლო შემდეგ იწყება ოსობის მასიური გამოსვლაო. მინისტრმა კი აქ განაცხადა საწინააღმდეგო იმისა, რაც სოციალ-დემოკრატიულ ქუთათურ გაზეთში არის დაბეჭდილი, ე. ი. რომ ოსის ნაციონალისტები თითო-ოროლად მოქმედებდნენ, მათ მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში, მცირეოდენი გამონაკლისითო

გარდა კომისრის მოწმობისა, რომელიც თავისდა უნებურად ადასტურებს ჩვენს შეკითხვას და ოსთა მასსიურ მონაწილეობას აჯანყებაში, არის კიდევ საბუთი თვით სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ერთობაში“, რომლის ერთ ერთ მეთაურის ავტორი დაჟინებით მიუთითებს მთავრობას ოსთა საფრთხისკენ და მოითხოვს ენერგიულად შეებრძოლოს საქართველოს მტრებს და მოღალატეებს (ჰკითხულობს ერთობის“ მეთაურს).

„ერთობა“ მოგვითხრობს აგრეთვე საჩხერეში დელეგაციის ჩამოსვლის ამბებს. რაზიეზდზე გამოჩნდა დელეგაციის თეთრი დროშა დელეგაციაში იყო ხუთი კაცი, მათში ერთი ოსი, ოსთა ნაციონალურ საბჭოს წევრიო

„ერთობაშივე“ სწერენ, რომ ჩვენ ნება არა გვაქვს დავივიწყოთ ცხინვალის აჯანყების ამბები. იქ აჯანყება კიდევ მოსალოდნელია და ამიტომ დუშეთის მაზრაში ოპერაციების დასრულების შემდეგ ჩვენი ჯარი და გვარდია უნდა გორის მაზრაში გადავიდესო“.

ბ-ნმა მინისტრმა სოციალისტ-ფედერალისტების ორგანო დაიმოწმა ქაქუჩელას კორესპონდენციებს მეც ვკითხულობდი და უნდა აღვნიშნო რომ მინისტრისაგან ამოღებული ნაწერი არ იყო დამახასიათებელი ხოლო თუ როგორ უყურებს თვით სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანო, ამის პასუხს იძლევა მათი მეთაური წერილი, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა საჩხერის ამბების გამო იგი სწერს: საჩხერე-დუშეთის ამბებს ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თანდათან ირკვევა, რომ მას აქვს განსაკუთრებული ხასიათი ეს არ არის ჩვენებურ ბოლშევიკების ამბოხება, არამედ ეს არის წმინდა ოსური მოძრაობაო. აი ეს არის ამ რედაქციის აზრი.

მე ჩემს შეკითხვაზე ვამბობდი და ეხლაც ვიმეორებ რომ მთავარი ბრალი ედებათ ოსებს. დანიშნეთ საგანგებო საგამომძიებლო კომისია და წინდაწინვე ვიტყვი, რომ ისიც ამას დაამტკიცებს.

საქართველოს რესპუბლიკაზე აშკარა ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობა სწარმოებს უცხო ერის მხრივ. ამის მოთმენა არ ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრივობის განმტკიცებას.

მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რათა ის შტაბი, რომელ ც ჯავის ხეობაში არის და იქიდან იძლევა ტონს საქართვე. სხვადასხვა კუთხეში აჯანყების დროშის ასაფრიალებლად დაჰმორჩილდეს საქართველოს რესპუბლიკას. აღიაროს დაუყოვნებლივ საქართველოს რესპუბლიკა და ოსებს აეკრძალოს ადგილიდან ადგილზე გადასვლა. შეუწყნარებელია, რომ ოსნი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ და ჩვენს დამოუკიდებლობას არ სცნობდნენ.

ნ. რამიშვილი. მოქალაქენო! ბ-ნმა ვეშაპელმა გვისაყვედურა მთავრობამ საგუბერნიო კომისარს მიჰმართა საბუთებისთვისო საინტერესოა, როცა ნაციონალ დემოკრატები ეღირსებიან მინისტრის სავარძელს, ალბად შეკითხვაზე პასუხს გასცემენ ცნობების შეუკრებლად, ზეპირად.

ნაციონალ-დემოკრატებმა ისიც გვისაყვედურეს, თუ მშრალად რად გადაეცით ჩვენი შეკითხვის აზრები გუბერნიის კომისარსო. მშრალად გადავეცით იმისთვის, რომ მიკერძებით, ცალმხრივ მოხსენებას და ფაქტების ადგილი არ ჰქონოდა. (ისმის ხმები: დახელოვნებულნი არიან!) დიახ გამოუცდელ ადმინისტრატორებს ჩვენ არ დავნიშნავთ.

ეხლა კიდევ შინაარსზე მოგახსენებთ. რანაირი პასუხი მოგვცა გუბერნიის კომისარმა? თავდაპირველად საჩხერის ამბები იყო ამბოხება ადგილობრივ გლეხებისა. მერე ას მიემხრნენ ოსებიც და მოძრაობა გაძლიერდა მაშინ, როცა ჩვენი რაზმი მიუახლოვდა ოსთა სოფლებს. აქ გასაოცარი არაფერია, ვინაიდან მოძრაობა იყო არა მარტო ოსებში არამედ ჩვენს გლეხობაში, ერთობ მთელს იმ მხარეს

დღეს ნაციონალ-დემოკრატები ლაპარაკობდნენ **საწყალ** ბოლშევიკებზე. ამ **საწყალ** ბოლშევიკებზე ლაპარაკი დაიწყეს მას შემდეგ რაც ზოგიერთმა მათმა წევრმა მონაწილეობა მიიღო ლეჩხუმსა და თიანეთში.

შემდეგ გვეკითხებიან: რა უფლების ძალით გაბედეთ და საზავო მოლაპარაკება გამართეთ ოსთა ეროვნულ საბჭოს წევრთან, რომელიც საჩხერეში მოსალაპარაკებლად მოვიდა კაპიტან იზნენლთანო, მე ამის საპასუხოდ მოვიგონებ ერთს ფაქტს. ჩვენ გვაქვს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე ეხლა აქ არის მემარჯვენე ბანკში როცა ძველი რეჟიმის დროს ჩვენი მოძმე აჭარლები აჯანყდნენ და მათ სასტიკი დასჯა მოელოდა მეფის მთავრობისგან, საქველმოქმედო საზოგადოებამ თავს იდო მათი გამოსარჩლება და მათთვის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა. სასტიკ ზომებს აჭარლების წინააღმდეგ ნუ მიიღებთო. დიახ, ჩვენ უფლება გვქონდა, ჩვენ მოვალენიც ვიყავით ჩვენს მოძმეებს გამოვსარჩლებოდით ამავე უფლებით ოსთა ნაციონალურ საბჭოს წევრს შეეძლო დელეგატად მოსულიყო და შეწყნარება ეთხოვა მეამბოხეთათვის. პეტიციის უფლება ყოველა მონათესავე ჯგუფს აქვს. ოსთა ეროვნული საბჭო კანონიერი ორგანიზაციაა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში, ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკაში კავშირები და ორგანიზაციები აკრძალული არ არის.

გასაკვირველი იყო აქ ერთი განცხადების ამონაწარი: ოსების მეთაურები ოფიცერი ხარებოვი და სტუდენტი ზახიევი ხალხს ატყუებდნენ: ქუთაისი და სხვა ადგილები ჩვენი იქნებაო, მე მგონია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც და ბ-ნი ვეშაპიძეც დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი თანხებით მოქმედებენ ყოველთვის ბრბოს წასაქეზებლად მხოლოდ მდიდარ ადგილების დაპირებით—ჩვენი იქნებაო—შეიძლება ბრბოს გადაბირება

თქვენი შეკითხვა რესპუბლიკის მდგომარეობას აუარესებს, უნდა დათანხმდეთ რომ თუ მართლა დაინტერესებულნი ხართ მშვიდობიანობით, ეს დამშვიდება ქვეყნისა მოითხოვს ყველა ელემენტის შერიგებას. თქვენ არ წარმოგიდგენიათ არც ერთი საბუთი იმისი, რომ საჭირო იყოს წინააღმდეგობა ისეთ სახელმწიფოებრივ მტრების მიმართ, როგორც არიან ოსები და ჩვენი გლეხკაცობა მართალია, ოსობაში არიან ნაციონალისტებიც და ბოლშევიკებიც, რომელთა წინააღმდეგ არის ბრძოლა საჭირო და მათდამი ჩვენი მთავრობა დაუნდობელი იქნება, ხოლო ოსობაში არის ისეთი ელემენტიც, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი წინსვლა და განვითარება მოითხოვს ჩვენთან მჭიდროდ და მეგობრულს კავშირს.

თქვენ კი, ნაციონალ-დემოკრატებო თქვენი შეკითხვებით სცდილობთ შუღლის ჩამოგდებას და ამით არყევთ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის სიმტკიცეს.

არჩილ ჯაჯანაშვილი. (სოც.-ფედერ.) ბატონებო! ტრაგიზმით სავსე ამბავი იშლება ჩვენ თვალთა წინაშე. იგი არ შეიძლება სხვათა-შორის და ზერელედ დავტოვოთ. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ორი გეზით მიდიოდა საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნება. პირველი იყო დემოკრატიული წესწყობილება, დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო მეორე პოლიტიკური თავისუფლება. მართალია, იდეურად ვერ მოჰხდა სინტეზი ამ ორი მიმართულებისა, მაგრამ ჩვენ ვღირსეთ ჩვენ მოვესწარით ერთსაც და მეორესაც ჩვენ ვსტკბებით პოლიტიკურ თავისუფლებით და ამავე დროს ჩვენი ეროვნული ნებისყოფა მიმართულია ჩვენში დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცებისაკენ, დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებისაკენ.

და აი როცა მრავალი ჩვენი ოცნება განხორციელდა, ჩვენს მიწა-წყალზე ხდება აჯანყება ქართველი მთავრობის წინააღმდეგ. ეს არის ტრაგიზმით სავსე მოვლენა.

ისტორია, ბატონებო, არ მეორდება გახსოვთ ისტორიის მაგალითი, როცა რესპუბლიკანური მთავრობა იბრძოდა იმ ხალხის წინააღმდეგ რომელსაც რესპუბლიკის მნიშვნელობა ვერ გაიგო და ვერ დააფასა.

კამათი ნაციონალ-დემოკრატების შეკითხვის თაობაზე გრძელდება. ლაპარაკობენ: **ალ. ლომთათიძე** (სოც.-დემ.) **შ. ქარუმიძე.** (ნაც.-დემ.) და **ივ. გომართელი** ალიონელი) რაკი უკვე ოთხის ნახევარია, ამიტომ წინადადება შემოდის კამათი საჩხერის ამბების გამო შემდეგ სხდომისთვის გადაიდოს.

საბჭო იზიარებს ამ წინადადებას და სხდომაც სამზაბათამდე სწყდება.

ბაქოს აღება.

მოსკოვის რადიო-სადგურიდან:

ბაქო. დეპუტატთა საბჭოს. გვაცნობეთ ბაქოს მდგომარეობა. რაადენ მანძილზე არიან ბაქოდან ოსმალები. იარაღი და მოწყობილება ხომ არ გაკლიათ? გამოგიგზავნეთ 1000 წითელ გვარდიელი და 5 ჯავშნოსანი ავტომობილი. მოსკოვში დაჟინებითი ხმებია, ბაქო აიღეს ოსმალებმაო.

ლენინი.

ტაშკენტით—ბაქოდან. აგვისტოს 3. ბაქოს მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ოსმალები უძლურნი არიან ბოლშევიკების წინააღმდეგობა მოსტეხონ.

განსაკუთრებით დიდი [illegible] ვაია კოს სთან.

ტფილისი, 8—3 [illegible]დან მოსული ცნობებით, ბაქო დიდი ბრძოლის შემდეგ აგვისტოს 1 საღამოს 6 ს ოსმალებს აუღიათ და მათი ჯარი ქალაქში შესულა. ნავთის სამრეწველოები ხელუხლებელია. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მოსულა.

ტფილისის მაჰმადიანებისაგან მიღებულ ცნობებით ბაქო ოსმალ-ადერბეიჯანთა ჯარს აუღია აგვისტოს პირველს. ქალაქში პირველად შესულა პოლკ. სელიმოვის რაზმი.

ბაქოს აღების წინა დღით ქალაქის სასალახოს ახლო მოხდა დიდი ბრძოლა, სადაც ქალაქის დამცველებმა, როგორც ამბობენ, დაჰკარგეს 7000 კაცი დაჭრილ დახოცილი, ტყვედ ჩაუვარდათ ოსმალებს ხუთი ათასი კაცი.

ჯართან ერთად ქალაქში შევიდნენ ადერბეიჯანის მინისტრები ხან-ხოისკის მეთაურობით. მაშინვე შევიდნენ აგრეთვე ოსმალთა ჯარის უფროსები.

ამ დღეებში ბაქოს გადაეცა აგრეთვე ადერბეიჯანის ყველა დაწესებულება და მუდმივად იქ იქნება.

გერმანიის ჯარს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბაქოს ექსპედიციაში.

გერმანელები ამბობენ, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარენ, რათა ახლო მომავალში ტფილისში ნავთი გააჩინონ.

არ იციან დანამდვილებით, ვის ხელში იყო ბაქო, როცა აიღეს: საბჭოთა მთავრობისა თუ ბიჩერახოვისა.

ნავთის სამრეწველოების უმრავლესობა არ დაზარალებულა.

ომის დეპეშები

ბერლინი. 8—3 დასავლეთის ფრონტი, კრონპრინც რუპრეხტის არმია. გასულ დღე ღამეში სამხედრო მოქმედება გამოიხატა მხოლოდ მზვერავთა რაზმების შეტაკებით; რომელსაც ადგილ-ადგილ არტილერიის სროლაც მოჰყვებოდა ხოლმე.

გერმანიის კრონპრინცის არმია. გენერალ ბომეს მიერ აგვისტოს 1 გამარჯვებამ გუშინდელი სამხედრო მოქმედება გაგვიადვილა. თითქმის შუადღემდე მოპირდაპირე ჩვენს ბრძოლის ველს ზარბაზანს უშენდა. მოპირდაპირის ქვეითა ჯარი და კავალერია ნელა და ფრთხილად მოსდევდა საარიერგარდო ნაწილებს, ჩვენ მტერი ძლიერ დავაზარალეთ. შამპანში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 100 ტყვე.

ლეიტენანტმა უდეტმა 41, 42 და 43 გაიმარჯვა. ლეიტენანტმა რისტჰოფენმა —31 და 32 ჯერ.

სტამბოლი. 8—3 პალესტინის ფრონტი. გუშინ ინგლისელები ძლიერ საარტილერიო სროლას აწარმოებდნენ. იორდანეს აღმოსავლეთით ჩვენ გავფანტეთ მოპირდაპირის მზვერავები. სხვაგან ყველგან მდგომარეობა უცვლელია.

რუსეთი და მოკავშირეები

დეპეშა.

მოსკოვის რადიო-სადგურიდან. უკვე ნათლად გამოირკვა, რომ რუსეთის ყოფილი მოკავშირეები სცდილობენ რუსეთის საბჭოთა მთავრობა ხელახლა ჩაითრიონ გერმანიასთან ომში. ამის გამო საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა მოწოდება მსოფლიოს პროლეტარიატისადმი, სხვათა შორის მოწოდებაში ნათქვამია: ინგლისმა და მისმა მოკავშირეებმა დაჰკარგეს იმედი ურუსეთოდ გერმანიის ბრძოლის ველზე დამარცხებისა და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რათა რუსეთში საზოგადოებრივი აზრი გერმანიის წინააღმდეგ მიჰმართოს, ჯარი შეჰქმნას და გერმანიასთან ომი დააწყებინოს ნამდვილად კი ინგლისმა და სხვებმა უნდა იცოდნენ, რომ გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხება შეიძლება არა კოალიციის იმპერიალიზმის საშუალებით, არამედ მხოლოდ მსოფლიოს პროლეტარიატის სოლიდარულ მოქმედებით. ამიტომ ომის გაგრძელება კი არა საჭირო, რომელიც აფერხებს მუშათა კლასის პოზიციებს და აძლიერებს ბურჟუაზიას, არამედ რაც შეიძლება მალე უნდა მოისპოს ომი, რათა მუშათა კლასმა დააკმაყოფილოს სოციალური და ნაციონალური მოთხოვნილებანი. ამხანაგო შეერთებულ შტატების, ინგლისის და საფრანგეთის მუშებო, რუსეთის ჩარევა ომში თქვენ ვერ აგაცდენთ სისხლის ღვრას. ეს მხოლოდ დაჰღუპავს რუსეთის რევოლიუციას ეს ხელსაყრელი იქნებოდა სწორედ გერმანიისათვის, რომელსაც ძლიერ ეშინიან რევოლიუციისა თუ თქვენ, ამხანაგებო, ხჰყვებით თქვენი მთავრო-

ის ხმას—ნებსით თუ უნებლიედ გადაქცევით რუსეთის რევოლუციის ჯალათებად.

უცხოეთი

კერენსკი ლონდონში.

ლონდონში მუშათა კონფერენციაზე მიიწვიეს კერენსკი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა და მოუწოდა მოკავშირე სახელმწიფოებს: რუსეთი გმინავს ბოლშევიკების ხელში, იგი იბრძვის გასანთავისუფლებლად და მიეშველეთო. ზოგიერთებმა პროტესტი განაცხადეს კერენსკის გამოსვლის გამო: ჩვენ მთავრობის აგენტები არ გვინდა, რომელნიც ახალ ავანტიურისაკენ მოგვიწოდებენო.

მონარქიზმი საფრანგეთში

„ჰუმანიტეში“ დაბეჭდილია წერილები, რომლითაც მტკიცდება, რომ საფრანგეთში დიდი შეთქმულება მზადდებოდა მონარქიის აღსადგენად. დააპატიმრეს რამდენიმე წევრი „აქსიონ ფრანსედან“.

ახალი ამბავი

ხალილ-ფაშის ჩამოსვლა. კვირას, აგვისტოს 4-ს ტფილისში ჩამოვიდა ოსმალეთის ჯარების მთავარ-სარდალი ხალილ-ფაშა.

გარნიზონის უფროსმა დააპატიმრა მფრინავი რაზმის ჯარის-კაცი თუხარელი კაცის მოკვლისათვის. ახმედ-მირზა მამედ-ოღლი, ყაზარ აბდულა-ოღლი, გემბერ ალი მირზა-ოღლი, აზეფ-ასაბ ოღლი გერმანიის მისიის წინადადებით.

სეირნობა სასახლის ბაღში. გურიის დამხმარე კომიტეტი აცხადებს, რომ სეირნობა სასახლის ბაღში კომიტეტის მიერ გამართული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაზარალებულთა სასარგებლოდ დასრულდება დღეს?

დღესვე გაიყიდება დარჩენილი ნივთები აუქციონით და ლატარიით.

საქართველოს სახელმწიფო ზვრების სამმართველოს დიდძალი ღვინო შეუკვეთეს გერმანიიდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან და რუმინიიდან. ღვინოში დიდ ფასს იძლევიან, ამ სახელმწიფოში სპირტეულობის უქონლობის გამო დიდი კრიზისია.

ხოლერა. აგვისტოს 4-ს ხოლერით ავად გახდა 8 კაცი; მორჩა და გაეწერა 6, მოკვდა 5. ხოლერის ნიშნებით ავად გახდა 4. გადამდებ სენიანთა ბარაკში ეხლა 159 ხოლერიანია, ხოლო 18 საეჭვო.

ყალბი სამ-მანეთიანები. ქალაქში უკვე გაჩნდა ყალბი სამ-მანეთიანები. გარეგნად ისე კარგად არის დაბეჭდილი რომ ვერაფერს შეატყობთ მხოლოდ ქართულ წარწერაში მოსვლიათ შეცდომა და სიტყვა: „საკრედიტოს“ ხელთნაწერი „ო“ აქვს ბოლოში ნაბეჭდის მაგივრად.

მასწავლებელთა ადგილები. თავისუფალია მასწავლებლის ადგილი ქ. შ. წ. კ. გ. ს. შემდეგ სკოლებში: 1) საგურამოს (დუშ. მაზ.) 2) ბორჩალოს (ტფილ მაზ.) 3) გომარეთის. 4) აკაურთის ყალამში (ბორჩ მაზ.) 5) ვარიანის და 7) ატენის (გორის მაზ) თხოვნები და საბუთები უნდა გამოიგზავნოს ქ. შ. წ. კ. გ. ს. მისამართზე სასახლის ქ, № 5.

ელლინთა ეროვნულმა საბჭომ მთავრობის თავმჯდომარეს სთხოვა, ყურადღება მიაქციოს ყარსიდან საქართველოში გამოქცეულ ბერძნებს, რომელთა მდგომარეობა აუტანელია. მათ წინადადება მისცეს საქართველოს ტერიტორიაზე დასტოვონ, ხოლო ოსმალეთის მთავრობა მათ უკან დაბრუნების ნებასა არ აძლევს. საბჭო სთხოვს მთავრობას, რომ ლტოლვილთა ფონდზე რუსეთში გასაგზავნად 300,00 მან. მიეცეს ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ეს ფული სესხად მიეცეს.

ლტოლვილები. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩამოჭრის შემდეგ საქართველოში დიდი ძალი ქართველი ლტოლვილი დასახლდა. მთავრობამ მათ სერიოზული ყურადღება მიაქცია, განზრახულია, ისინი საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში იქმნან დასახლებულნი. მიწათმოქმედების მინისტრს მთავრობა შეეკითხა, სად შეიძლება მათი დასახლებაო.

ტყვე ბოლშევიკები. აგვისტოს 4-ს დუშეთის ფრონტიდან ტფილისის ციხეში (№ 1) ჩამოიყვანეს 144 ბოლშევიკი

საპყრობილეთა ინსპექციაში. საპყრობილეთა დარაჯების რაზმის ჯანმრთელობის შესამოწმებლად დაარსებულია ინსპექციისაგან საგანგებო კომისია ციხის ექიმის მონაწილეობით კომისია მუშაობას დაიწყებს აგვისტოს 7-ს, დილის 10 ს. საგუბერნიო საპყრობილის № 1 კანცელარიაში (ორთაჭალაში: რაზმში ჩაწერა შეიძლება ინსპექციაში (განოვის ქ. № 11) ხოლო ოთხშაბათს პირდაპირ კომისიაში.

იურისტთა კრება. კვირას ოთხს ქართულ კლუბში ამხ. შალიბაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ქართველ იურისტთა კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა ქართული იურიდიული საზოგადოების დაარსების შესახებ და დაადგინა შემდეგი: ა. დაარსდეს დროებით ქართველ იურისტთა კავშირი, რომელიც მოუმზადებს ნიადაგს ქართველ იურიდიულ საზოგადოების დაარსებას. ბ. ამორჩეულ იქმნას კომისია, შემდგარი შვიდი კაცისაგან, რომელიც შეიმუშავებს კავშირის წესდებას და იზრუნებს ახლო მომავალში ქართველ იურისტთა მრავალ რიცხოვანი კრების მოწვევისათვის. კომისიაში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები: ი. ბარათაშვილი, ი. ზურაბიშვილი, ა. სარაჯიშვილი, გ. შალიბაშვილი, გ. ჟორდანია, ი ლასხიშვილი ა. ახნაზაროვი. კომისიის კრება დანიშნულია დღეს, საღამოს 8 საათზე სასამართლოს ქუჩა № 26 ნაფ. ვექ. გ. ჟორდანიას ბინაზე.

ს. ზემოავჭალი კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებამ წარსულ ორ კვირა დღეს ზედიზედ გამართა „ფინჯანი ჩაი“ ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. ეს საზოგადოება ამავე მიზნით ამ „ფინჯან ჩაის“ გამართავს აგრეთვე სხვა კვირა დღეებშიაც ამა წლის ენკენისთვის შუა რიცხვებამდის.

ქართულ სატეხნიკო საზოგადოების კრება სამშაბათს აგვისტოს 6-ს ფრეილინის ქ № 11 საღამოს 8 ს. შესდგება ქართულ სატეხნიკო საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძე დაამთავრებს თავის მოხსენებას »ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“; ამავე კრებაზე გაირჩევა ფრიად საყურადღებო მიმდინარე საკითხები.

ოთხშაბათს, აგვისტოს 7-ს საღამოს 8 საათზე შესდგება სამთო-საქიმიო სექციის კრება. ინჟ. ივ. ყიფშიძე დაამთავრებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: სამთა-მადნო კანონმდებლობის ძირითადი დებულებანი უცხოეთში“.

გერმანელთა შტაბი საქართველოს ლაშქრის შტაბის შენობაში გადავიდა, ხოლო საქართველოს ლაშქრის შტაბი სამხედრო სამინისტროში, ბარიათინსკის ქუჩა № 8.

პურის ბარათები ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების გადაწყვეტილებით მოისპო.

შეკითხვის წარმოდგენის გამო. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: ეს სამი თვეა ფოსტა-ტელეგრაფის სადგომში უნდა გამართულიყო საღამო „ინტერნაციონალი“, მაგრამ აქამდის არ გამართულა, მიუხედავად იმისა, რომ ბ. დოლუხანოვი საამისო ბილეთებს ჰყიდიდა. ეხლა სთხოვენ ბ. დოლუხანოვს აცნობოს: რა უყო ბილეთებში აღებული ფული, თუ რომელსამე საზოგადოებას გადასცა, საბუთი გვიჩვენოს, თუ არა და ბილეთების მყიდველებს ფული უკანვე დაუბრუნდეს.

სახელმძღვანელოები. ამ დღეებში სტამბა „სახალხო საქმე“ დაასრულებს ბეჭდას: „ბუნების კარის“ ახლად შესწორებულ და გადაკეთებულ დედაენის“ მეორე ნაწილის და ფიზიკისას პროვინციებიდან ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დიდძალი მოთხოვნილება მოსდის ხსენებულ სახელმძღვანელოებზე და განსაკუთრებით დედა-ენაზე, რომელიც გასასყიდლად ბაზარზე გამოილია.

— **ანტისანიტარული მდგომარეობა.** ბაზრის ქუჩეზე ყასბების უბანში საშინელი ანტისანიტარული მდგომარეობაა. მთელი ქუჩა მოფენილიძვლებით რომელიც ქუჩის ძაღლები ყოველი კუთხიდან მიაქანებენ. თვით საყასბოებიდან ისეთი მყრალი სუნი გამოდის რომ ამ ქუჩაზე გავლა შეუძლებელია.

სოფლად და ქალაქად.

თელავი.

თელ. სარაიონო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ვახვახიშვილი ბაქო-ბათომის ნავთის სადენ უფროსის ინჟინ ოგანეზოვთან ერთად ივლისის 24 ილდოკანში (თიან. მაზრა) გაემგზავრა ნავთიან ადგილების დასათვალიერებლად, სადაც ერთ ინგლისელ ამხ—ბას ედგა ბურღები

ახტალა.

ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავსო—ნათქვამია და ახტალის მოიჯარადრებს აგრეთვე კოტეხის და გურჯაანის მცხოვრებლებს ეს დავიწყებიათ ისე ულმერთოდ სძარცვავენ ახტალაზე მოსულ ავადმყოფებს. თითო თბილი ვანათის ქვეშ (დაფაცხავებული ფანჩატური აქ) 6--10 მან , ოთახი 300-400 მან. თვეში სანოვაგეც ესევე ძვირი, რა ქნას საწყალმა ხალხმა? ურჩევ არ მოვიდნენ თუ ჯიბეში ერთი ასი თუმანი არ უდევთ. მაკვირვებს ექიმების და აქაური ხალხის გულგრილობა ახტალის მოწყობაში, დღეში უკანასკნელი 600-700 მან. შემოდის, მოწყობილი რომ იყოს და იაფობა ერთ ათად მეტი შემოვა, ნუ თუ მესამედი ველარ გადადვეს უბრალო ოთახების მოსაწყობად თბილი ვანებისათვის ან ისე საბანაოთ; მაგრამ, სჩანს, ეზარებათ მუშაობა, ფულს ისეც ხომ იღებენ... ავად-მყოფებმა ახტალის შესახებ განცხადება მისცეს გურჯაანის კომიტეტს.

ხაშური

17 ივლისს ქ. ხაშურში ადგილობრივ მცხოვრებ ტრიფონ ჯაფარიძესთან მივიდა სამი გვარდიელი: უნდა გაგჩხრიკოთო. ტ. ჯაფარიძემ მოითხოვა ორდერი შტაბისა. მაგრამ ამის ნაგიერ მას თოფები დაახალეს. რაღაც განგებით გადარჩა. მთელი სახლის კარები და იატაკი სულ დახნულია ტყვიებით. ეს ამბავი შეატყობინეს შტაბში, მაგრამ ერთ საათს არ დაუკავებიათ ბოროტგამზრახველები მხოლოდ ჩამოართვეს თოფები მაგრამ მეორე დღეს ყველა თავისუფალნი დაბრძანდებოდნენ ქალაქში. მიზეზი დაცემისა თურმე ყოფილა სიმთვრალე რა გარანტია აქვს მოქალაქე ჯაფარიძეს რომ ეს ვაჟბატონები კიდევ არ დათვრებიან და არ გამოასალმებენ წუთისოფელს. საჭიროა მთავრობამ ასეთ მოვლენებს ყურადღება მიაქციოს.

ჩოხატაური

აქ ხალხი უკიდურეს დღეში ჩავარდა შიმშილისაგან. სიმინდი არ იშოვნება; დღემდე სიმინდი აქ-იქ იშოვებოდა ფუთი თორმეტ თუმნად დღეს არც ეს არის გასაყიდი. არც სხვა რაიმე საჭმელი. თუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საჩქარო ზომები არ მიიღო და ქერი, ან პური არ მიაწოდა ხალხში უბედურება დატრიალდება მეტი გამოსავალი. არ არის ვთხოვთ ეს ცნობა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ საჩქაროდ.

ფოთი.

25 ამა თვეს ღამის 12 საათზე საშინელი სროლა ასტყდა, რომელმაც თავზარი დასცა მცხოვრებლებს. როგორც მალე გამოირკვა, რამოდენიმე ძმა ბიჭებს გადაეწყვიტა თავს დასხმოდა ქალაქის სათევზაო წყლების მოიჯარადრე აქვსენტი ქვანიას. ეს ამბავი მილიციის უფროსსაც სცოდნია და თავიდან ამ ღამეს ჩაუსაფრებია რამოდენიმე მილიციონერი. ღამის 12 საათზე ერთი მძარცველთაგანი მისდგომოდა ქვანიას სახლის კარებს, მაგრამ მოჰკლეს. იგი აღმოჩნდა ვასილ ცხვიტარია. ორიც დაატუსაღეს. ორი დღის წინად გაძარცვეს ქალაქის სასანიტარო ფერშალი ნოდია, ღამის 1 საათზე, სომხის ქუჩაზე, და ფოთის ელექტრონის სადგურის მეფარნე ალ. კოსტავა. პირველს წართვეს—400 მ. და მეორეს—200 მ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ოთხშაბათს აგვისტოს 7-ს პარტიულ კლუბში შესდგება მორიგი პარტიული კრება. წაკითხულ იქნება მოხსენება, რის შემდეგაც გაიმართება კამათი, დასაწყისი საღ 8 საათზე ახალი დროით

მეგობრის კუბოსთან

(არჩილ ამირეჯიბის ხსოვნას.)

არჩილის კუბო. რა ტრაგიზმია ამ ორ სიტყვათა შეულლებაში. ვინც იცნობდით არჩილს, ხომ თვალწინ გიდგიათ მისი მუდამ ხალისიანი სახე? სიცოცხლე უყვარდა სნეულივით.

მომავალზე ისე დაბეჯითებით ოცნებობდა, თითქოს დარწმუნებული იყო სიკვდილის უძლურობაში.

რამდენჯერ მისაუბრნია მასთან, და ყოველთვის ისე იმედიანობით ლაპარაკობდა თავის თავზე, რომ ჩვენ, ამხანაგები ხშირად ვიცინოდით კიდეც მის ასეთ გადაჭარბებულ იმედიანობაზე.

მაგრამ სიკვდილმა მაინც სძლია მის იმედს, და საიქიოს გამოუცნობმა ხელმა გათანგა მისი არსება. განსვენებულმა გაათავა ტფილისის ქართული გიმნაზია 1911 წელს. ეხლა უვლიდა, როგორც ექიმი ლტოლვილებს და იქ საოფლის მსხვერპლი გაჰხდა.

არჩილი კუბოში. ის არჩილი, რომელიც ხშირად დამრიგებლის როლს კისრულობდა, და ამხანაგ სტუდენტების მამხილებლობას სცდილობდა გულ-წრფელად.

დორპატში გავიცანი იგი, ამ სამი წლის წინად. მახსოვს დაგვპატიჟა თავისთან, შესვლისათანავე გვაჩვენა სურათი: „სიყვარული და მოვალეობა“. ჩვენ ვიცოდით, რომ არჩილი მოვალეობის რაინდი იყო. მაგრამ ვვინდოდა მეგობრულად გულზე მოგვეყვანა, და როდესაც გვკითხა, სურათი ხომ მოგწონთო, უპასუხეთ, კარგია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ სიყვარულს მოვალეობა დაეძლიაო. არ ესიამოვნა, მაგრამ შემდეგ ეს მისი უსიამოვნობა სიცილით გავაქარვეთ.

დიახ, არჩილი მოვალეობის რაინდი იყო, და ასეთივე დარჩა სიკვდილამდე.

არჩილის კუბო. იმ არჩილის, რომელიც ჯანლონით იყო სავსე, თუმც ნერვიულ ნიადაგზე ავადაც იყო, მაგრამ მის მაგარ სხეულს ეს ავადმყოფობა თითქმის არც კი ეტყობოდა. მაგონდება ერთი ეპიზოდი სულ ახალი დროისა. წარსულ წლის ნოემბერში ბოლშევიკთა გამარჯვების შემდეგ, დორპატში მოედვნენ ჯარის-კაცები და სამხედრო პირებს პაგონებს ჰყრიდნენ. არჩილიც სანხედრო ექიმის ფორმაში იყო. მივიდნენ მასთანაც „რიცრის ქუჩაზე“ რომ მიდიოდა. არჩილმა უთხრა: საჯაროდ პაგონებს არ აგაჭრევინებთ, მე თვით მოვიხსნიო, ამ ამ პასუხზე ერთმა ლატიშმა ჯარის-კაცმე ხელი აიმაღლა გასარტყელად, მაგრამ არჩილმა დაასწრო, და ისეთი მაგარი სილა სტკიცა, რომ თავხედი ჯარის-კაცი პირ-აღმა ძირს დაეცა. შედედდა ბრბო. მოითხოვდნენ „სამოსუდს“. ოდნავი სიმხდალე არჩილის მხრივ, და ეს ველური ბრბო გაჰგლეჯდა მას. მაგრამ არჩილი სიმხდალეს არ იყო ჩვეული. იგი უკან დახევით მიდგა კედელთან, რომ ზურგიდან არავინ მიჰპარებოდა, და როგორც ვეფხვი იგერიებდა მღელვარე ბრბოს. 12 კაცზე მეტს სცემა, და თვით კი ერთიც არ მოიხვედრა. ბოლოს, სტუდენტობა შეჯგუფდა, შეიჭრა ბრბოში და გამოსტაცეს სასიკვდილოდ გამზადებული ურჩი ქართველი.

მთელი დორპატი „ერთ ქართველზე“ ლაპარაკობდა, რომელმაც ბრბო დაამარცხა.

„იცოდეთ მე ქართველი გახლავართ, და ქართველი კი ქალაჩუნურად არ დანებდებათო“. —აი ერთი ფრაზა, რომლითაც მიმართა ბრბოს და ხელით დუელი გაუმართა. ეს ნოემბერში იყო, წარსულ წელს.

არჩილი კუბოში. ის არჩილი, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინად ტფილისში ვნახე ისევე გამომზირალი, როგორც ძველად.

კუბოშია ის არჩილი, რომლის ცხოვრების ამ უკანასკნელ 3 წლის ეტაპები თითქმის დაწვრილებით ვიცი კუბოშია ის არჩილი, რომელსაც სიცოცხლე სწყუროდა და თავ-გამოდებული ემზადებოდა მომავლისათვის, მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად

არჩილი ჩვენი პარტიული ამხანაგი იყო.

და ეს არჩილი გარდიცვალა, გარდიცვალა ასე მოულოდნელად.

სწავლა წელს დაასრულა, და სწავლასთან ერთად დაასრულა სიცოცხლეც.

რა საზარელია სიკვდილი, და მით უმეტეს არჩილის სიკვდილი.

რა ტრაგიზმია ამ ორ სიტყვაში:
არჩილი კუბოში.

დორპატელი ამხანაგი.

საქართველოს რკინის გზეზე

როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ დღეებში ტფილისში გაიმართა რკინის გზების ქართველ მოსამსახურეების ყრილობა, რომლის დადგენილება ფრიად არ მოსწონებია გზების მთავარ კომიტეტს

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა შემდეგი დეპეშა აგვისტოს 3 რიცხვისა, რომელიც გაუგზავნია გზების ყველა ადგილობრივ კომიტეტისათვის მოგვყავს აქ უცვლელად დეპეშის თარგმანი, რომლის შინაარს ცალკე შევეხებით.

„ივლისის 28 ტფილისში ქართულ კლუბში გაიმართა რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობა ასეთის სახელით „რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა კავშირის კრება“. ამ კრებაზედ მკაცრად გაილაშქრეს რკინის გზის მთავარ კომიტეტის წინააღმდეგ და საერთოდ მტრულად შეხვდნენ. კომიტეტი ფიქრობს, რომ ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ შეკრებილთა უმრავლესობა იყო შტატს გარეშე დატოვებულთაგან, მაგრამ უნდა განვაცხადოთ. ისიც რომ მონაწილეობას იღებდნენ კრებაში და „ახალ კავშირის“ წევრებადაც ჩაეწერნენ ისეთნიც, რომლებიც ჩვენი საერთო კავშირის წევრებად ირიცხებიან და ეს კი წესდებას ეწინააღმდეგება, ვინაიდან რკინის გზის ყველა მოსამსახურეებისათვის, განურჩევლად ეროვნებისა, არსებობს ერთი საზოგადო კავშირი, რომლის წევრებად ითვლებიან ყველა მოსამსახურეები და რომლის აღმასრულებელი ორგანოა მთავარი სარკინისგზო კომიტეტი, და შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე პირი ირიცხებოდეს წევრად ორს ერთი მეორე საწინააღმდეგო კავშირში, ამიტომ ყველა წევრი ზემოხსენებულ „ახალ კავშირისა“ უნდა გამორიცხულ იქმნენ ჩვენი კავშირიდან რის გამო ჰკარგავენ უფლებას იმსახურონ რკინის გზაზე. მაგრამ შესაძლებელი არის ბევრი მოსამსახურე შეცდომაში იყოს შეყვანილი და ძოტყუებით ჩაწერილნი იყვნენ „ახალი კავშირის“ წევრებად, ამიტომ წინადადებას ვაძლევთ ამ კავშირში ჩაწერილ მოსამსახურეთ ერთი კვირის განმავლობაში გამოვიდნენ „ახალ კავშირიდან“ და განუცხადონ ეს ჩვენს ადგილობრივ განყოფილებასწ. ინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავენ რკინის გზის მოსამსახურის უფლებას. გთხოვთ ეს დადგენილება აუწყოთ ყველა მოსამსახურეთ“.

რას ნიშნავს?

რედაქციას წარმოუდგინეს ყოვლად შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელი დოკუმენტი, დოკუმენტი, რომლის მსგავსიც პოლიციურ-ჟანდარმული წესწყობილების დროსაც კი იშვიათი იყო ხოლმე აი ეს დოკუმენტიც: **„რკინის გზის უფროს. ახლი უფროსს ექიმს: ვინაიდან რკინის გზის ქართველ მოსამსახურეთა კრებაზე, რომელიც მოჰხდა სათავად-აზნაურო (?) კლუბში ივლისის, 28-ს, ექიმმა მუსხელიშვილმა არ აღიარა რკინის გზის მთავარი კომიტეტი რავოლიუციონურ ორგანოდ და გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ამიტომ ვთხოვთ დაითხოვოთ იგი სამსახურიდან. რკინის გზის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე დიდიძე, მდივანი დოლიძე.“**

რას ნიშნავს ეს დოკუმენტი?

რას ნიშნავს მთელი ქართველი საზოგადოების მიერ კარგად ცნობილი ექიმი მუსხელიშვილის დათხოვნა ისეთი წესით, რომელსაც მხოლოდ დასამარებულ წესწყობილებაში ჰქონდა ადგილი ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ რაღაც დიდი გაუგებრობაა და ასეთი დოკუმენტიც ზღაპარია და არა სინამდვილე. ველით განმარტებას გზათა მინისტრისაგან.

საჩხერის ამბები

(დასასრული).

სოფელ ჭალაში ჩვენი ჯარის გამაგრების შემდეგ მთელმა საჩხერის ნაწილმა თავისუფლად ამოისუნთქა. გახიზნული ხალხი სახლებში დაბრუნდა და ჩვეულებრივ მუშაობას შეუდგა. წუწკი ბრბოს ნაწილი ქართლიდან და სხვა შორე ადგილებიდან სათარეშოდ მოსულნი გაიფანტნენ და წავიდ წამოვიდნენ, ხოლო ერთი ნაწილი თავზე ხელაღებულთა სოფ. პერევსა, ჭრიასა და ჯალაბეთის უღელტეხილებში გამაგრდა. 20 ივლისის საღამოთი დიდად სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ დღეს საქმეებისა გამო ბ-ნი იზნხელი საჩხერეში იყო წასული. შტაბს-კაპიტანმა ალეშა სისორდიამ რვა რჩეული ყმაწვილებისაგან შემდგარი მზვერავთა რაზმი წაიყვანა ჭალიდან ასე 6 ვერსზე სოფ- ჭრისაკენ. მზვერავნი ძალიან შორს შევიდნენ ხევში, მათ ჩასაფრებულნი გარს შემოედვნენ და აუტეხეს საშინელი სროლა, ალექსანდრე ღოღობარიძე მაღლობიდან მდინ ყვირილაში გადმოვარდნილიყო და თუმცა ძლიერ დამტვრეულიყო მაგრამ სამს ვერსზე წყალ-წყალ ევლო ეს უბედურება ჭალაში ეცნობებინა. მალევე მოვიდა კაპ. იზნხელი გაუძღვა ჯარს და გაშმაგებულნი შეესიენ იმ ადგილს, სადაც ბოროტებმა ჩვენები შეიტყუეს. ბრძოლის ველიდან სამგან მაგრამ მსუბუქად დაჭრილი შტ. კაპ. სისორდია გამოიყვანეს, საკაცეზე დააწვინეს და გაგზავნეს ჭალაში. მებრძოლნი შეუდგნენ დანარჩენების ხსნასაც, მაგრამ გვიან იყო, სტუდენტი მოხალისეები იოსებ შოთაძე და ბიძინა სანებლიძე უკვე მოეკლათ და ისინიც გამოიტანეს ურმით. ავაზაკებს მოკლულებისათვის საცვლების გარდა ყოველივე

გაეხადათ და წაეღოთ. გაეტაცნათ ცხენები და თოფები შტ. კაპ. სისორდიასგან წაეღოთ აგრეთვე 10,00 მან. სახელმწიფო ფული. დანარჩენი 5 კაცის ბედი არ ვიცოდით და დიდს მწუხარებაში ვიყავით ყველანი. მესამე დღეს პერევლებმა და ჭრიელებმა დელეგატები გამოგზავნეს ქალაში ჩვენი ტყვეები მოიყვანეს და სამაგიერო ითხოვეს. განთავისუფლებულ ტყვეთაგან აღმოჩნდნენ გადარჩენილნი მზვერავნი შალვა მიქაბერიძე, გრიშა მესხი, სიმონ მაჭავარიანი და ალექსანდრე წერეთელი. მოკლული აღმოჩნდა მეხუთე მათი ამხანაგი დათა ვარდანაშვილი, რომელიც წყლის პირზე იპოვნეს დაგდებული საწყალი. შალვა მიქაბერიძემ დაწვრილებით ასწერა თავზე თავგადასავალი. ოთხივენი რაღათ მათ ეგრძნოთ რომ შებრძოლება აღარ შეიძლებოდა თოფები გადაემალათ და წყლის ერთს ქვას ქვეშ შემძვრალან. ეს შეუნიშნავს ერთ პერეველ გლეხს, უსწავლებია მათთვის და კარგა ხანს სროლის შემდეგ მისულან და მწერებივით გაუქაჩავთ.

ვიდრე ქართლისაკენ ჩვენი რაზმი დაიძროდა ბ-ნმა იმხნელმა გადასწყვიტა ჯარის ერთის ნაწილის წაყვავა და მოვლა საჩხერის ყველა იმ სოფლების, საიდანაც ჯერ იარაღი სრულიად არ იყო მოტანილი. 21 ივლისს მიტინგი გაიმართა სოფ. ქალაში. დაესწრნენ ღონისა ორღულისა, სპეთისა, ქალისა, ცხამისა, იცქირისა, და სავანის მცხოვრებნი. მიტინგს თავმჯდომარეობდა ილ. ვეფხვაძე გლეხებს პირდაპირ დაუყენეს საკითხი გამოეთქვათ თავიანთი აზრი. ძლივს გაბედა ერთმა მოხუცებულმა: ჩვენ ბატონყმობა არ გვინდა, მართალია თოფები მიგაქვთ, მაგრამ წალდები ჩვენ გვრჩება და მით გამოვიჭრით ყელს თუ ბატონყმობა იქმნა შემოღებულიო. ხალხი შეიშმუშნა და ერთხმად გაიმეორა ნათქვამი შემდეგ მოხსენება გაუკეთა ხალხს მიხეილ ჯიბლაძემ, სიტყვები წარმოსთქვეს ზაქარია გურულმა და ანანია სალუქვაძემ. ხალხს ყოველ მხრივ განუმარტეს საქმე და ნამდვილი ვითარება და მათი შეცდომები თვალნათლი დაუხატეს ამავე დღეს ბ-ნმა იმხნელმა რაზმის ერთის ნაწილით გაიარა სოფელ სავანეში და სოფ. არგვეთის კანცელარიაზე ყრილობა მოახდინა, დიდს სიყოჩაღეს მამულისშვილობას იჩენდნენ ჯარისკაცები და გვარდიელები როგორც ყრილობას ნახავენ კალიასავით ხალხში იხხენიან და პირადი საუბრით უმტკიცებენ ყველას დამღუპველს შედეგს მათთვის ასეთ გამოსვლებისას, ამხილებენ შეცდომებს და არწმუნებენ რომ იგინი შეცდომაში არიან და მოტყუებულნი პროვოკატორებისაგან. ყრილობას პირველად სიტყვით მიმართა კაპიტანმა ბ-ნმა იმხნელმა. ხალხს ურჩია დამშვიდებული იყავით, ნუ აჰყვებით პროვოკატორებს, ნუ ღუპავთ თავისუფლებას და ნუ ანადგურებთ თქვენს თავსაო. ხალხმა აღუთქვა იარაღის მიტანა და ყველა მოთხოვნილებათა შესრულება სიტყვებით მიმართეს აგრეთვე ყრილობას ქაიხ. ქავთარაძემ, ვიქტორ ტენტერაძემ და ზოსიმე ფირცხალაშვილმა.

ღამე ჯარმა გორისაში გაათენა. ამავე ღამით ბ-ნმა იმხნელმა კორბოულის კომისარს მიწერილება გაუგზავნა და შეუთვალა ხვალ 22 ივლისს ბახიოთების თავზე გორისისა და კორბოულის სამზღვარზე მთელი საზოგადოების მცხოვრებნი მოიწვიე ყრილობაზეო. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა ავედით კორბოულში. 400 კაცს თავი მოეყარა. ეტყობოდა ხალხი ძლიერ იყო შეშინებული. ბოროტ ენებს ხმა გაევრცელებინათ, ჯარი თუ რომელიმე ახალგაზდას თუ ჯარის კაცად ნამყოფს ხელთ იგდებს, ყველას ხოცავსო ასეთი მახინჯური ჭორის მიზეზია რომ ყრილობაზე უმთავრესად მოხუცებულნი ესწრებიან. როგორც სხვაგან, აქაც კაპ. იმხნელმა მოკლე სიტყვით მიმართა ხალხს და წარუდგინა მთავრობის მოთხოვნილებანი. ამავე ყრილობაზე ილაპარაკეს ჯარის კაცმა ჩვენმა პარტიულმა ამხანაგმა გრიშა გაბუნიამ, ვრცელი სიტყვის დასასრულ მან ხალხს თავისი დახეული შარვალი უჩვენა: მე თუ თავად აზნაურებისაგან ვიყო დაქირავებული ესეც არ დამემართებოდაო. ვრცელი სიტყვით მიმართა ყრილობას აგრეთვე ქაიხ. ქავთარაძემ. დაწვრილებით აღნიშნა თუ ვინ არიან ჩვენი მთავრობის ხალხი, რა პირობებმა იძულებულ ჰყვეს საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადებულიყო, მოიყვანა ისტორიული ამბავი გრიგოლ წერეთლისაგან, მოღალატურად საჩხერის დაპყრობის ამბავი და მას შემდეგ 117 წლის განმავლობაში მონურ ცხოვრების ჩვენი ქვეყნის დამღუპველი შედეგები და სთქვა: საჩხერეს მცხოვრებთა ნაწილმა უღალატა საქართველოს თავისუფლებას, თოფით გამოვიდა მის წინააღმდეგ და ამით მან თვით გრიგოლ წერეთელს გადააჭარბა მოღალატეობაშიო. რომ ეს სირცხვილი მთელის საქართველოს წინაშე ჩამოვიწმინდოთ, უნდა დაუყონებლივ შევასრულოთ მთავრობის მოთხოვნილება—ბრძანებანი და მხარი დაუჭიროთ მას საქართველოს თავისუფლების განმტკიცების საქმეშიო.

ხალხი განცვიფრებული ამბობდა: ვაი ჩვენს სირცხვილს, როგორი უბედური საქმე ჩაგვიდენია, აქამდე რატომ არავინ მოდით, გეთქვათ ვინ არის ჩვენი მთავრობა, ვინ არის ჩვენი პატრონიო. ჩვენ ბატონ-ყმობის აღდგენით შეშინებულნი ყველა თავხსნილობის საბუთებს სპილენძის ჭურჭლებში ვაწყობდით და მიწაში ვმარხავდით, რადგანაც გვაშინებდნენ „ვარდიელები“ მოვლენ და მოგისპობენ საბუთებსაო. კორბოულის ყრილობაზე გამოირკვა რომ კორბოულის კომისარს მაჭარაშვილს ამბოხებულთაგან მოკვლის შეშინებია და სადღაც თავის „მწერალიანათ“ გაპარულა. კრებამ ბ-ნ იმხნელის წინადადებით ახალი კომისარი ამოირჩია კომისრად ერთხმად არჩეულ იქმნა მაქსიმე მახათაშვილი, რომელსაც ხალხის თანხმობით და კაპ. იმხნელის წინადადებით დაევალა რამდენიმე დღის განმავლობაში ასრულებულ იქნებ მთავრობის მოთხოვნილებანი იარაღის ჩაბარებისა, ჯარისკაცთა გამოყვანისა და სხვ. შესახებ. ხალხი დიდად კმაყოფილი საღამოს 5 საათი იქნებოდა დაიშალა. კრებას დაესწრო სოფ. ჩონთო. ამიტომ რაზმის ნაწილი გაიგზავნა ამ სოფელშიაც. რაზმს თვით ბ-ნი იმხნელი მეთაურობდა. ღამით იქ დასტოვა ცხენოსანთა ასეული კაპ. კანდელაკის მეთაურობით. ივლისის 23-ს ბ-ნმა კანდელაკმა დაიბარა მცხოვრებნი და განუმარტა ხალხს მიზანი ჯარის იქ მისვლისა. ჩონთოელებმა გამოიტანეს და ბ-ნს კანდელაკს ჩააბარეს 15 თოფი და აღუთქვეს ყოველივეში მთავრობის მორჩილება და ყველა ბრძანებათა შესრულება. ჯარის მეტმა ნაწილმა 22 დღე-ღამე გაათია კორბოულის მინდვრებში. 23 ივლ. ჯარმა გადაიარა დურევის თავი, გადავიდა ცხაში და ნაწილი სავანით და ნაწილი ეთოეხვევის გზით დაბრუნდა სოფ. ქალაში. 24—25 ივლისამდე ქალაში, ორღულიდან, დარბოდან და სპეთიდან შეგროვდა 40 მდე თოფი. მოიტანეს მრავალი ნაცარცვი ნივთი და ჭურჭლეულობა. მარტო ერთ ფუთაში გამოხვეული ძვირფასი კაბები და საცმელები 15000 მან. დააფასა მიხ. აბაშიძემ.

ამ გვარად საჩხერის ნაწილი სოფ. დარყამდე დაწყნარდა, გაიგო ხალხმა როგორ მოტყუებულია იგი თავზე ხელაღებულ ოსებისაგან და ჩვენებურ ავაზაკ დარბაიძე—სულაბერიძებისაგან და სინანულში ჩავარდნილი მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა. ბ-ნმა იმხნელმა ეხლა მთელი თავისი რაზმის ყურადღება ოსებისაკენ მიაპყრო. ულტიმატუმზე პასუხი ძლივს 23—24 ივლისს გამოგზავნეს. ამ დღეებში დილას და საღამოსაც მოვიდნენ ორ წყებად წარმომადგენელნი სოფ. ჭრიასა, პერევისა და და სხვა ახლო სოფლებიდან. პერევში გამაგრებულებმა დამატებით გაანთავისუფლეს სოფლებიდან გატაცებული ტყვები. მცხოვ. სოფ. ბერეთისას პოდპორუჩიკი გერასიმე ტაბატაძე, რომელიც თავის სოფლიდან 13 ივლის წაუყვანიათ და წაურთმევიათ 600 მან. [illegible] ქამარი და სხვა ნივთები, სოფ. შუქრუთის მცხოვრები პეტრე ჩიჩინიძე, უსახელოელნი ძმანი ვასილი და ევტიხი ლაშხები და და სევასტი აბულაძე დელეგატებმა, როგორც საღამოთი, ისე დილით ჩამოსულებმა სრული მორჩილება განაცხადეს. ვადა იყო ყველა მოთხოვნილებათა შესასრულებლად 25 ივლისს შუადღემდე. რადგანაც რაზმის უფროსი კაპიტანი იმხნელი მოტყუებული დარჩა და ოსებისაგან პასუხი არ მოდიოდა 25 ივლისს ნაშუადღევის 1 საათიდან შეუდგა „ოსეთისაკენ“ ცეცხლითა და მახვილით სვლას

ქაქუჩელა.

მიწის რეფორმა

ლაგოდეხის რაიონი.

მიწის მიმღები კომისია ხელმეორედ აცხადებს: გაღმა ალაზნის „სავაჩნაძიანო“ მამულის მემამულეების წინაშე, რომ მიწების მიღება დაიწყება 1—10 აგვისტოდან, უწყებები უკვე დაგზავნილია და პრესის საშუალებით ვატყობინებთ მათ, ვისაც უწყება მიღებული არ ექნება, დაესწრონ. თუ არ მოისურვებენ დასწრებას და მასთანვე სურთ მიწის ნორმის მიღება სხვა მხარეში, სადაც ფლობელობენ, წერილობით განაცხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმას დაუტოვებთ, მხოლოდ სხვა მხარეში მეორე ნორმას ველარ მიიღებენ.

ამასთანავე ვაცხადებთ საჯაროდ ჩვენს მოქმედებას: ივლისის 2-დან დავიწყეთ მუშაობა და მივიღეთ შემდეგი მამულები:

ქიაურის მამულში ლაგოდეხში:

1. ტიგრან სერებრიაკოვისა სამოსახლო მიღებულია 3 დ. 480 კ. ს. დაუტოვეთ 7 დესეტინა
2. ხაჩატურ ნარინიანცისა სახნავი მიღებულია 10 დ. 1800 კ. ს. დაუტოვეთ 7 დეს.
3. სერგო სიმონიანცისა ბაღი და ვენახი მიღებულია 2 დ. 1600 კ. ს. დაუტოვეთ 7 დეს.
4. პავლე ასლანიანცისა ბაღი . მიღებულია 5 დ. დაუტოვეთ 7 დ.
5. საინჟინერო უწყებისა სახნავი მიღებულია 20 დესეტინა არაფერი არ დაუტოვეთ.
6. კონკოვის მემკვიდრეებისა სახნავი მიღებულია 19 დ. 1200 კ. ს. დაუტოვეთ 7 დ.
7. ჩეკუნოვის მემკვიდრეებისა ნახევარ წისქვილის შემოსავალი, სახნავი და ბაღი მიღებულია 12 დ. 1900 კ. ს. დაუტოვეთ 6 დ. 1720 კ. ს.
8. მლაკასევიჩის მემკვიდრეების მიღებულია სამოსახლო და ტყე 13 დესეტ. 50 კ. ს. დაუტოვეთ 14 დეს. 50 კ. ს.
9. სურენიანცისა ალექს. მიღებულია ტყე და სახნავი 175 დეს: 260 კ. ს. დაუტოვეთ 7 დ.
10 პავლე თუმანიშვილს მიღებულია ტყე და სახნავი 55 დ. 200 კ. ს. არაფერი არ დაუტოვეთ.
11. ირ. გუნცაძესი მიღებულია ტყე 40 დ. არაფერი დაუტოვეთ.

ჯამი შეადგენს 347 დ. 290 კ. ს.

ამასთანავე მივიღე აყრილი რუსების სოფლების მამულები სახნავები, ბაღები, სახლ-კარმიდამოები, ტყეები, საძოვრები და სანახიროები:

1. ელისავეტოვკისა	ვარაუდით	2400 დესეტინა.
2. რომანოვკასი	„	1200 დესეტინა.
3. ალექსეევკასი	„	1328 დესეტინა.
4. ილარიონოვკასა	„	2001 დეს.
5. ვარანცოვკასი	„	1916 დესეტინა.
6. დაშკოვკასი	„	1200 დესეტინა.

ჯამი 10,239 დეს.

და მთელ მიღებულ მამულის ჯამს შეადგენს 10,586 დ. 290 კ. ს.

ამ აყრილ სოფლების ყოველივე ცნობები და სამეურნეო სამოსახლო გეგმები გადმომსახლებელ სამმართველოში ინახება.

ამ აყრილ რუსების ადგილებზე ესახლებიან ქართველები: ჯავახეთიდან გამოქცეულნი, ქუთაისის გუბერნიიდან იმერლები და ქიზიყიდან გამოსულნი უმამულო გლეხები, უკვე ექვსას კომლამდის დასახლდნენ და შეძლებისა-დაგვარად ვაწესრიგებთ მათ მოსახლეობას.

ვარანცოვკის გვერდზედ უმამულო მაშნაარელები გამოვიდნენ სამოცი კომლი დასახლდნენ და სოფელს „მშვიდობა“ დაარქვეს.

რუსის სოფლების სახელების გამოცვლას აპირებენ, ელისავეტოვკას დაარქვეს „ცოდნა“.

ამ მხარეში მიწების ჩამორთმევას უფრო პოლიტიკური ხასიათი აქვს და დიდი ყურადღების ღირსია მთავრობის მხრივ.

შემდეგ ვრცელი წერილი მექნება და შევეხები გადმომსახლებელ მმართველობის მოქმედებას და ზოგიერთ მის საბუთების გამოაშკარავებას და მასთანვე განსაკუთრებით ქართველების დევნას.

მივაქცევ აგრეთვე მთავრობის ყურადღებას, რომ უნდა შესდგეს განსაკუთრებული მიწის მომწყობი კომისია, რათა ახლად დასახლებულთ ყველას თავის ხვედრი მიუზომოს.

ლაგოდეხის რაიონის მიწის მიმღების კომისიის თავმჯდომარე **დუშიკო ფალავანდიშვილი.**

თელავი და მოაგარაკენი

ჯერ ისევ ადრე გაზაფხულზე შეეტყო თელავს გარეშე ხალხის შემოსვლა, მას აქეთ ყოველ დღე აუარებელი ხალხი აწყდება. ცხადი გახდა, პატარა თელავი, რომელსაც არც საკმარისი ბინები აქვს, არც სამყოფი სურსათი უმტკივნეულოდ ვერ აიტანდა გარეშე ხალხის მოსვლას და მართლაც აშკარად დაეტყო ცხოვრებას გაძვირება, ბინებს რომ თავი დავანებოთ, როცა უმოვნელობით, ერთ ოთახში რამდენი სულია შეხიზნული, სურსათის საკითხმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, პურს გარდა, რომელიც არ იშოვება და მამა სიზმრად გახდა, სხვა სანოვაგის ფასმაც შედარებით წინა, თვეებთან ერთი ხუთად და ათად აიწია: რადგანაც მოსული ხალხის დიდი უმრავლესობა სულ შეძლებულ ნაწილს წარმოადგენს, ესენი ფულს არაფერში ჰზოგავენ, ყველაფრის ფასს ხელოვნურად სწევენ და ადგილობრივი მცხოვრებნი ისე რჩებიან. მშრომელი მუშა ხალხისთვის უკვე ხელმიუწვდომელი გახდა სურსათის შეძენა და ძალა უნებურად დაიწყეს აქა-იქ მოაგარაკეთა წინააღმდეგ მითქმა-მოთქმა.

ამნაირად თელავი აივსო მოსულ ხალხით, რომელნიც რამდენიმე ნაწილად განიყოფება: მოაგარაკენი, რომელნიც ჩვეულებრივ მოდიან ხოლმე ყოველ ზაფხულს, რადგანაც ამათ თელავთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ! მოაგარაკენი, რომელნიც სხვაგან მიდიოდნენ და წელს პირველად ესტუმრნენ თელავს და არავითარ საშუალებას არა ზოგავენ ფუფუნებისათვის და მოაგარაკენი ე. ი. პირდაპირ სპეკულიაციისათვის მოსული ხალხი, რომელთაც ჩარჩული ქსელი ყველგან გააბეს, დაიწყეს ტფილისში მიმოსვლა და არცა ფიქრობენ თელავიდან წასვლას და ძალა უნებურად მკვიდრთ თავიანთ წინააღმდეგ ამხედრებენ.

რაც შეეხება ლტოლვილებს, რომელთა ქურქში ხშირად ეხვევიან ხემოდასახელებული მოაგარაკენი. ნამდვილი ლტოლვილი ფეხშიშველი და დაგლეჯილი, რომელნიც მტრის მახვილს გამოჰქცევიან ამათი რიცხვი ასს არ აღემატება; არის ცალკე კომიტეტი, რომელშიაც ქალაქის საბჭოდანაც შედიან, რომელიც მზრუნველობს მათთვის. ამათ წინააღმდეგ არავინ არაფერს ამობს, მხოლოდ ზომები მიღებული, რომ ამათი რიცხვი არ გაიზიდდეს.

თვით მოაგარაკეთა გადმოხვეწა კი, მიუხედავად, რომ შუა ზაფხულია, არა თუ კლებულობს, ყოველ დღე მატულობს, მოდიან ცხადლივ და მალვით და საშინელ უბედურებას უმზადებენ თელავის მცხოვრებთ ხოლერის შემოტანით.

ამიტომ იყო, რომ ჯერ ისევ ორი-სამი კვირის წინად ქალაქის საბჭომ თავის გადაწყვეტილების თანახმად გაგზავნა ტფილისის ყველა გაზეთებში დეპეშა, რომლითაც სასტიკად ეკრძალებოდათ როგორც მოაგარაკეთ, ისე ლტოლვით თელავში შემოსვლა.

ამის მიუხედავად მას შემდეგაც მოსულთა რიცხვი დაკლების მაგიერ, მოემატა და საშიში გახდა სიმშილის და სიძვირის ნიადაგზე მშვიდობიანობის დარღვევა და ხოლერის შემოტანის მხრივაც.

სწორედ ამისთვის საბჭოს კრებაზე დაისვა საკითხი მოაგარაკეთა შესახებ, რომელსაც მაშინვე ზოგიერთებმა ეროვნული ხასიათი მისცეს, ვითომ ვისიმე წინააღმდეგ ყოფილიყოს ეს მიმართული და ამ საქმისათვის განსაკუთრებით ცალკე სხდომის დანიშვნა გახდა საჭირო.

მკათათვის 26 დაინიშნა არა ჩვეულებრივი საბჭოს კრება, რომელსაც აუარებელი ხალხი მიაწყდა, ჯერ არც ერთ კრებას ამდენი საზოგადოება არ დასწრებია, რამდენიც ამ საღამოს. ამ საღამოთიაც სამწუხაროდ კამათმა ძალიან მწვავე ხასიათი მიიღო და მასთან ეროვნულიც. ზოგს ეგონა. ეს საკითხი მარტო-მარტო სომხების წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაკვირველია ეს სამწუხაროა, ვინაიდან კითხვა საზოგადოდ მოსულებს შეეხებოდა, რომელთა შორის არიან, როგორც სომხები, ისე ქართველები, რუსები და სხვა ეროვნებისა.

გარეშეთაც მიეცათ სათათბირო ხმის უფლება, წარმოითქვა მკვახე სიტყვები. ბოლოს როგორც იქმნა საკითხი გამორკვეულად დაინახეს და წინადადებებს კენჭი უყარეს რომლის გადაწყვეტაშიაც დაშნაკელების ფრაქციამ თავი შეიკავა.

მოსულთა შესახებ გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებანი:

1 აიკრძალოს როგორც მოაგარაკეთა, ისე ლტოლვილთა შემოსვლა თელავში.

2. აქ მყოფ ლტოლვილებს მიეჩინოთ განსაკუთრებითი ბინა ქალაქს გარედ და გაგზავნილ იქმნენ თავის სამშობლოში თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (როცა ეს შესაძლებელი გახდება).

3. უკვე მოსულ მოაგარაკეთ, რომელთაც თელავთან არავითარი კავშირი არა აქვთ, წინადადება მიეცეთ ერთი კვირის განმავლობაში დასტოვონ თელავი, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით იყვნენ ქალაქიდან გაგზავნილი.

დავიწყებული.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე, [illegible] ქუჩა № 7. 2130

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორილანოვის ქ. № 6.

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სახქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17 49. 1153

ექიმი ე. ლ. შალამბერიძე იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი ზ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიის აფთიაქის გვერდით. 624

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტიხიანი 9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14.